საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა

ანა სიხარულიძე, ანი საჯაია, გიორგი ჭეჟია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის ზოგადი განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი - მაკა კორძაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

მადლობა

გვსურს, მადლიერება გამოვხატოთ იმ ადამიანებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომელთა მხარდაჭერის გარეშე მოცემული სამაგისტრო ნაშრომის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა.

უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართულ სკოლას და მის პროფესიონალ გუნდს. მადლიერებას გამოვხატავთ სკოლის დირექტორის, ქალბატონი ქეთევან დოჩანაშვილის მიმართ. ასევე, მადლობას ვუხდით სკოლის ადმინისტრაციისა და მონიტორინმნ გის მენეჯერს, ქალბატონ თინა ჭკუასელს, რომლის პრაქტიკული დახმარება და ორგანიზაციული ჩართულობა მნიშვნელოვანი იყო ჩვენი მუშაობის ყველა ეტაპზე. გულწრფელი მადლობა სკოლის პედაგოგებს და მოსწავლეებს აქტიური მონაწილეობისთვის და ჩართულობისთვის.

განსაკუთრებული მადლობა გვსურს გადავუხადოთ ჩვენი ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ მაკა კორძაძეს - პროფესიონალიზმის, კეთილგანწყობისა და მუდმივი მხარდაჭერისთვის. მისი მითითებები და რეკომენდაციები არსებითად განაპირობებდა ჩვენი კვლევის მიმართულებასა და ხარისხს.

მადლობა მოწვეულ პროფესიონალებს: ანა ცინცაძეს, ბარბარა სამხარაძეს, თამთა თავართქილაძეს, დავით თავაძესა და გიორგი ჭეჟიას.

და ბოლოს, მადლობა ყველა იმ ადამიანსა და თანამოაზრეს, ვინც პროცესში პირდაპირ ან ირიბად მხარში გვედგა, გაგვიზიარა ცოდნა, გამოცდილება და ხელი შეგვიწყო ნაშრომის წარმატებით განხორციელებაში.

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ანი საჯაია

გიორგი ჭეჟია

ანა სიხარულიძე

30.06.2025

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანია მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროცესში სკოლის როლის გაძლიერება. კვლევა განხორციელდა შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართულ სკოლაში (IGS) და მის საფუძველს წარმოადგენდა ამ სკოლაში მანამდე არსებული პროფესიული ორიენტაციის ხელშემწყობი პრაქტიკის შესწავლა, შეფასება, პროცესებში ჩართულ მხარეთა მოსაზრებების, საჭიროებების ანალიზი და ეფექტიანი ინტერვენციების დანერგვა.

სკოლაში ჩატარებულმა დიაგნოსტიკური კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა გარკვეული ნაბიჯების გადადგმა მოსწავლეთა პროფორიენტაციის ხელშეწყობის მიზნით და ამასთანავე, დაინტერესებული იყო ამ მიმართულების გაუმჯობესებით. ამავე დროს სკოლაში არ არსებობდა ამ საკითხისადმი სტრუქტურირებული და სისტემური მიდგომა, რაც შესაძლოა იყო მთავარი განმაპირობებელი იმისა, რომ პროფესიული ორიენტაციის ხელშემწყობი პროცესები შეფერხებით მიმდინარეობდა.

ჩვენი კვლევა ეფუძნება კვლევის შერეულ მეთოდოლოგიას, - გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები- ფოკუს-ჯგუფები მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და ელექტრონული კითხვარები, რამაც მოგვცა შესაძლებლობა გაგვეკეთებინდა კვლევის მონაწილეთა წარმოდგენების, სურვილებისა და საჭიროებების უფრო დეტალური შედარებითი ანალიზი და მასზე დაფუძნებით დაგვეგეგმა და გაგვეხორციელებინა ეფექტიანი ინტერვენციები.

ინტერვენციების შედეგებმა აჩვენა, რომ სკოლაში საგრძნობლად გაიზარდა ცნობიერება პროფესიული ორიენტაციის მიმართ. მოსწავლეთა, ადმინისტრაციის წარმომადგენელთა და მასწავლებელთა აქტიური ჩართულობის დახმარებით, ჩამოყალიბდა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშემწყობი მდგრადი მექანიზმები. სპეციალურად მასწავლებელთათვის შექმნილი გზამკვლევი შეფასდა, როგორც ძალიან პრაქტიკული და გრძელვადიანი; კლუბის დაარსება, როგორც სტრუქტურული და ეფექტიანი, ხოლო დანარჩენი ორი ინტერვენცია - კარიერული დღეები და კარიერის კონსულტანტის

თვითშეფასების ტრენინგი- მოსწავლეთა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მხრიდან აღიქმება, როგორც შინაარსობრივად ღირებული და მხარდამჭერი იმისათვის, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ სწორი პროფესიული ორიენტირი.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვფიქრობთ, წარმართულმა კვლევითმა პროცესმა, მიზანმიმართულმა ინტერვენციულმა დაგეგმვამ და თანამშრომლობითმა პრაქტიკამ რეალურად გააძლიერა სკოლის როლი მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის საკითხებში და შექმნა კარგი წინაპირობა ამ მიმართულებით სკოლის სისტემური და გრძელვადიანი განვითარებისათვის.

საძიებო სიტყვები: პროფესიული ორიენტაცია, კარიერული განათლება, საგანმანათლებლო ინტერვენცია, მოსწავლეთა თვითშეცნობა, პროფესიული ორიენტაციის გზამკვლევი, პრაქტიკის კვლევა, სკოლის როლი.

Abstract

The purpose of this study is to strengthen the role of schools in supporting students' career guidance. The research was conducted at Guram Dochanashvili International Georgian School (IGS) and was based on an examination and evaluation of the school's existing career guidance practices, an analysis of the views and needs of those involved in the process, and the implementation of effective interventions.

The results of the diagnostic phase revealed that the school had already begun taking certain steps to support students' career development and expressed interest in improving this direction. At the same time, a structured and systemic approach to career guidance was lacking, which appeared to be a key factor contributing to the fragmented and inconsistent nature of the efforts.

Our study employed a mixed-methods approach, combining both quantitative and qualitative research methods-including focus groups with students, teachers, and administrators, as well as electronic questionnaires. This allowed for a more in-depth comparative analysis of participants' perceptions, expectations, and needs, which informed the planning and implementation of targeted interventions.

The results of these interventions indicated a significant increase in awareness regarding career guidance within the school. Through the active engagement of students, teachers, and administrators, sustainable mechanisms were established to support students in their career development. A specially designed career guidance manual for teachers was evaluated as highly practical and long-term in its value; the founding of a student club was recognized as a structural and effective measure; and the other two interventions-career days and a self-assessment training for the school's career counselor—were viewed by both students and administrators as meaningful and supportive initiatives to help students develop a clear sense of professional direction.

In conclusion, we believe that the research process, the deliberate planning of interventions, and the collaborative approach effectively enhanced the school's role in supporting students' career guidance and created a strong foundation for systemic and long-term development in this area.

Keywords: career guidance, career education, educational intervention, student self-awareness, career guidance manual, practice-based research, school's role.